განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

## სასურსათო ტექნოლოგია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

## სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 30.11.2018წ

დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 231187168 |
| დაწესებულების სახე | უნივერისტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | საურსათო ტექნოლოგია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი 0104 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან კინწურაშვილი/სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | მალხაზ ბერეჟიანი /სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვახტანგ კურცხალია/დამსაქმებელი/შპს „შვიდი“/საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო დეკანოიძე/დოქტორანტი / სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი/საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2011 წლიდან დღემდე ფუნქციონირებს აკრედიტებული სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ეტაპობრივად განიცდიდა ცვლილებას, ვითარდებოდა და აღნიშნული ასახვას პოულობდა ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშშებში. კერძოდ ყოველწლიურად ხდებოდა სასწავლო კომპონენტების, სწავლისა და სწავლების მეთოდების, შეფასების მეთოდების, კომპონენტებისა და კრიტერიუმების სრულყოფა, ლიტერატურის განახლება, დამსაქმებლებლებთან ურთიერთთანამშრომლობის განმტკიცება- განვითარება. შესაბამისად, სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განხორციელების ამ პერიოდში დაგროვდა მნიშვნელოვანი გამოცდილება, რამაც წარმოაჩინა აღნიშნული პროგრამის თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად შემუშავების პერსპექტივა.

ბაზრის საჭიროებათა კვლევამ, დამსაქმებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, აკადემიური პერსონალის გამოკითხვებმა გამოკვეთა ახალი სასწავლო კურსების დანერგვის აუცილებლობა, შესაბამისად კურიკულუმში შემოვიდა შემდეგი სასწავლო კურსები: სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და ბიოუსაფრთხოება, ზოგადი ფიზიკის საფუძვლები, ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ტექნოლოგია, გარემოს ჰიგიენა, სურსათის უვნებლობის საფუძვლები, კვების პროდუქტების ზოგადი ტექნოლოგია. ასევე დაიხვეწა პრაქტიკის კომპონენტიც.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა მოამზადებს სასურსათო ტექნოლოგიის სფეროს სპეციალისტებს, რომელთაც ექნებათ დასაქმების პერსპექტივა სასურსათო პროდუქტების საწარმოებში, როგორიცაა: ხილ-ბოსტნეულის შენახვა–გადამუშავების და დაკონსერვების, პურის, მაკარონის, სპირტის, ლუდის, საკონდიტრო პროდუქტების, უალკოჰოლო (წვენების, მინერალური წყლების)დაალკოჰოლიანისასმელების (ღვინის, ბრენდის, ლიქიორ-არყის)და ხორცისა და ხორცის პროდუქტების დიდი და მცირე საწარმოები. სასურსათო პროდუქტების ექსპერტიზის ლაბორატორიები. საქართველოსსოფლისმეურნეობისსამინისტროდამისდაქვემდებარებაშიარსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები,რეგიონალურისამმართველოები და კომპანიები;შესაბამისი პროფილის სამეცნიერო–კვლევითიინსტიტუტებიდალაბორატორიები, არასამთავრობო ორგანიზაციები; სახელმწიფო/კერძო კვლევითი და საკონსულტაციო მომსახურების (სერვის) სამსახურები; საგანმანათლებლო დაწესებულებები. კურსდამთავრებულს შეეძლება თავად გახდეს დამსაქმებელი და თვითონ შექმნას სასურსათო პროდუქტების საწარმო.

პროგრამის განხორციელების პერიოდია 4 აკადემიური წელი, 240 ECTS კრედიტი, რომელიც კომპონენტების სახით შემდეგნაირადაა გადანაწილებული: საუნივერსიტეტო სავალდებულო- 30 ECTS კრედიტი, საუნივერსიტეტო არჩევითი - 30 ECTS კრედიტი, სპეციალობის კურიკულუმი -120 ECTS კრედიტი (აქედან 5 კრედიტია პრაქტიკა), დამატებითი პროგრამისათვის/ ან თავისუფალი სასწავლო კურსები -60 ECTS კრედიტი. პროგრამის სტრუქტურული და შინაარსობრივი მხარეები ისეა აგებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 30 ნოემბერს (ცენტრის დირექტორის 26.11.2018წ-ის ბრძანება№1061). „სასურსათო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

  აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში უნივერსიტეტში დაიგეგმა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, ფაკულტეტის დეკანთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამაში მონაწილე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ სპეციელისტებთან, რომლებიც ჩართული იყვნენ პროგრამის შექმნაში და მომავალში უზრუნველყოფენ მის განხორციელებას, ასევე მოქმედ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ

მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. ვიზიტის ბოლოს, ექსპერთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს პროგრამის განვითარებისთვის შესთავაზა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
  - საბაკალავრო პროგრამისთვის „სასურსათო ტექნოლოგია“ თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის და სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების შედეგად დადგინდა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.
  - პროგრამა აკმაყოფილებს:
    პირველი სტანდარტის მოთხოვნებს.
    მეორე სტანდარტის მოთხოვნებს და გვაქვს რეკომენდაცია და რამდენიმე რჩევა:
    მესამე სტანდარტის მოთხოვნებს.
    მეოთხე სტანდარტის მოთხოვნებს და გვაქვს რჩევა
    მეხუთე სტანდარტის მოთხოვნებს და გვაქვს რჩევა.
  - პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

სასწავლო კურსი „მიკრობიოლოგია“უნდა ისწავლებოდეს უფრო ადრე, ვიდრე სტუდენტი შეუდგებოდეს კონკრეტული კერძო ტექნოლოგიების და „ბიოტექნოლოგიის“ შესწავლას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგიას სასურველია ჰქონდეს დაშვების წინაპირობა.
  - სასწავლო გეგმაში კურსების დაშვების წინაპირობებად მოცემულია კოდები,ალბათ უფრო პრაქტიკული იქნება აღსაქმელად,სასწავლო კურსის დასახელების ან გეგმაში მითითებული რიგითი ნომრის ჩაწერა.
  - მართალია სასწავლო კურსი „აგრობიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი“ ასევე ისწვლება საბაკალავრო პროგრამა „აგრონოიაში’, მაგრამ მოცემული პროგრამისთვის სასურველია პრაქტიკული მაგალითები მოყვანილი იყოს სასურსათო ტექნოლოგიიდანაც.
  - მაპროფილებელი სასწავლო კურსებისთვის, გარდაცვლილი პედაგოგების მაგივრად ახალი პედაგოგების გამოყოფა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან ან შესაბამისი კომპეტენციის მქონე დარგის სპეციალისტის მოწვევა სილაბუსით განსაზღვრული შედეგის მისაღწევად.
  - სასურველია სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ ფაკულტეტზე უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული პროექტების შესრულებაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულების სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა რეგიონში,რაც განაპირობებს იმას, რომ ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი დასაქმებულია.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

განმეორებითი აკრედიტაციის მომენტისთვის გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის (ოქმიN11 18.11.2011) ექსპერტების რეკომენდაციები. კერძოდ:

1. **“ პროგრამაში გაწერილი პრაქტიკის დეტალური გეგმის ნაცვლად უმჯობესია პრაქტიკის სილაბუსის არსებობა”**-აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და პროგრამაში ჩადებულია პრაქტიკის სილაბუსი, სადაც დეტალურადაა გაწერილი მიზანი, შედეგი , სტუდენტის ყოველდღიური საქმიანობა პრაქტიკის ობიექტზე და დახვეწილია პრაქტიკის შეფასების სისტემა

**2.“ სასურველია პროგრამაში ისწავლებოდეს საგანი ,,ბიოქიმია“**-აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და პროგრამაში შეტანილია სასწავლო კურსი ,,ბიოქიმია“

**3. „სილაბუსებში სასურველია, ძირითად ლიტერატურად მითითებული იყოს უფრო მაღალი დონის წყაროები და ინტერნეტ-მისამართები“**-რეკომენდაცია გათვალისწინებულია და სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად მითითებულია ახალი წყაროები

გარდა ამ რეკომენდაციების გათვალისწინებისა, სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ამ წლების განმავლობაში ვითარდებოდა და იხვეწებოდა. დაიხვეწა სილაბუსები და სტუდენტზე უფრო მეტად მორგებული გახდა შეფასების სისტემა, პროგრამაში შემოვიდა რამოდენიმე ახალი სასწავლო კურსი, გაიზარდა პრაქტიკის ობიექტების რაოდენობა.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითიმიმოხილვა და ანალიზი.**<br>პროგრამის მიზნები შეესაბამება იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავისსახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას,ნათლადარის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.<br>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, რეგიონისათვის დამახასიათებელი პრიორიტეტის გათვალისწინებით, სასურსათო ტექნოლოგიის სფეროში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, წარმატებით დასაქმებადი და კარიერულ ზრდაზე ორიენტირებული კადრის მომზადება, რომელსაც ექნება თანამედროვე სასურსათო ტექნოლოგიების ფართო თეორიული ცოდნა და პროფესიასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ეცოდინება:სურსათის (საკვები და სასმელი პროდუქტების) წარმოების ტექნოლოგიური მეთოდები; ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქციის დასამზადებლად საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შეეძლება პროდუქციის ხარისხის შეფასება ნედლეულიდან მზა პროდუქციის ჩათვლით; აუცილებლობის შემთხვევაში - საკვებისათვის საჭირო დანამატების განსაზღვრა. ეცოდინება, ასევე: კვებისპროდუქტებისწარმოებისას მიმდინარე პროცესებიდამათ განსახორციელებლად გამოყენებული თანამედროვე აპარატების მოქმედების პრინციპები; თანამედროვეტექნოლოგიური მოწყობილობების, დამხმარე მასალების, პროდუქციის შესანახი და გადასატანი ტარა-ჭურჭლის შერჩევადაგამოყენება.შეეძლება ამდროს მიმდინარექიმიურიდაბიოქიმიურიგარდაქმნების, ასევე, |

მიკრობიოლოგიური პროცესების არსში წვდომა;ეცოდინება დარგის ბიზნესისა და მენეჯმენტის საფუძვლები, მენეჯერული და მარკეტინგული წინადადებების შეფასების და დანერგვის წესები/პროდუქციის ორგანოლეპტიკური შეფასება. შესაბამისიპრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენის შედეგად, შეეძლება:ნედლეულის მიღება-შენახვის აღრიცხვა; ადგილზე, წარმოებისათვის სპეციფიკური ინსტრუქტაჟის მიღების შემდეგ, ტექნოლოგიური ციკლის (ან მისი ცალკეული ეტაპის) წარმართვა-კონტროლი; პროდუქციის ტექნო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლი. განხორციელებული სამუშაოების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება წარმოების ხელმძღვანელობის მიმართ.

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი მიზნები ორიენტირებულია სახელმწიფოებრივად მიშვნელოვანი საკითხის (კვების პროდუქტების წარმოების აღორძინება)გადაჭრისკენ დაორიენტირებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი,სტუდენტებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელებისკენ;

პროგრამის მიზნები საჯარო დახელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.ამრიგად, საგანმათლებლო პროგრამა სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს, ორიენტირებულია სახელწიფოებრივი საკითხების გადასაჭრელადრეგიონის პირობების გათვალისწინებით , მისი მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული,სწავლის შედეგები მიღწევადია და შესაბამისობაშია პროგრამასთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

*1.სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა*
*2.თესაუ-ს მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, მემორანდუმები სხვადასხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან*
*3.აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების და გაუქმების ინსტრუქცია*
*4.თესაუ-ს ვებ-გვერდი*
*5.დამსაქმებელთა გამოკითხვა*

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულების სპეციალისტებზე დიდი მოთხოვნაა რეგიონში,რაც განაპირობებს იმას, რომ კურსდამთავრებული სტუდენტები ყველა დასაქმებულია.

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებულიპროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრიგათვითცნობიერებულია სასურსათო ტექნოლოგიის სფეროსთანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებში, აცნობიერებს მიღებული პროფესიის, შესასრულებელი ვალდებულებების სპეციფიკას და პროფესიულ ღირებულებებს; დაუფლებულია სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრისათვის საჭირო ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, ფლობს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შეუძლია წინასწარ განსაზღვრული მითითებების და ინსტრუქციების შესაბამისად, თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალების დანერგვაში მონაწილეობა, კვების პროდუქტების ქიმიური ანალიზის ჩატარება; სასურსათო ტექნოლოგიაში გამოყენებული მანქანა-დანადგარებისადა აპარატების უსაფრთხო ექსპლოატაცია, ტექნოლოგიური პარამეტრების დაცვა და სხვა.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის სსიპ იაკობგოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებსხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც ითვალისწინებს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლს.რომლის განხორციელებისთვის ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა და სწავლის შედეგების ანალიზი საგამოცდო ცენტრის მასალებზე დაყრდნობით. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ხდება რეკომენდაციების შემუშავება,რომელიც შედეგია სტუდენტების, დამსაქმებლების და კურსდამთავრებულებისგამოკითხვითმიღებული ინფორმაციის გაანალიზების.<br>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად ასევე გამოიყენება დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები.აღნიშნული გმოკითხვები ასევე გამოიყენება შრომის ბაზრისმოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შესაბამისობის დასადგენად და სწავლის შედეგების დარგობრივი კომპეტენციების განვითარებისთვის საჭირო ინფორმაციების მისაღებად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>1. *სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა*<br>2. *სასწავლო კურსების სილაბუსები*<br>3. *კვლევა სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შესახებ 2018წ და კვლევის კითხვარები*<br>4. *საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება*<br>5. *სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა*<br>6. *თესაუ-ს გამოკითხვის ფორმები და გამოკითხვის შედეგები*<br>7. *სასწავლო კურსის (სილაბუსის) შეფასების ფორმა*<br>8. *ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები*<br>9. *სასწავლო კურსის სწავლების პროცესზე დაკვირვების შეფასების ანკეტა*<br>10. *საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება*<br>11. *ინტერვიუ დამსაქმებლებთან* |

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლოპროგრამისმიზანი, სწავლისშედეგებიდამათთანპროგრამისშესაბამისობა | ✓ | | | |

## 2. სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვისებისშეფასებისადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1.პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს მოქმედიკანონმდებლობის შესაბამისად: უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოსკანონით, ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებითა და სსიპ იაკობგოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,სასწავლოპროცესის მარეგულირებელი წესი“ შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელისახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს (ან საქართველოს კანონმდებლობით მასთანგათანაბრებულ პირს), რომელმაც გაიარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და მიღებულიქულების კოეფიციენტებით რანჟირების საფუძველზე მოიპოვა სსიპ იაკობგოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება.

პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტს აქვთ შესაძლებლობა არჩევით გამოცდად ჩააბაროს საგანმანათლებლო პროგრამისთვის შერჩეული და პრიორიტეტების თანმიდევრობით შეთავაზებული შემდეგი საგნები: ქიმია,ბიოლოგია, მათემატიკა,გეოგრაფია,ისტორია.

ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აბიტურიენტი ვალდებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია დაწესებულების მიერ დადგენილ ვადებში.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელების და მასზე სწავლის მსურველთა დაშვებისშესახებ გამჭვირვალე და საჯაროა, განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვედზე დახელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

*1.საგანმანათლებლო პროგრამა;*

*2.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ წარმომადგენლობითი საბჭოსსხდომის ოქმი № 514.03.2018*

*3. უნივერსიტეტის ვებგვერდი*

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრადააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნებ

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.**

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტში მოქმედი ,,აკადემიურისაგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების,განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქციის" და ყველასაჭირო სამართლებლივი დოკუმენტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, რაცაკადემიური საგანმანათლებლო პროგრამებით სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის მომზადებას ეხება.

პროგრამაზე მიღების წინაპირობაა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილიერთიანი ეროვნული გამოცდები, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგრამაზეშემომსვლელი არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული.პროგრამის გავლის შემდეგ, კი კურსდამთვრებული უნდა ფლობდეს ბაკალავრისკვალიფიკაციას.პროგრამის შინაარსი და სწავლის შედეგები თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით არის 240 ECTSკრედიტი და ხორციელდება 4(ოთხი) აკადემიური წლის მანძილზე. პროგრამის 240 კრედიტი განაწილებულია შემდეგნაირად: 120 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსებს, აქედან 105 კრედიტი არის სავალდებულო სასწავლო კურსები, 15კრედიტი-არჩევითი სასწავლო კურსები; 30 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსებს ( აკადემიური წერა -5 კრედიტი, საინფორმაციო ტექნოლოგიები - 5 კრედიტი, უცხო ენა -20 კრედიტი), 30 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კურსებს; 60 კრედიტი ეთმობა დამატებითი სპეციალობის პროგრამას ან თავისუფალ კრედიტებს.

პროგრამის აგების დროს გათვალისწინებულია სასწავლო კურსების და მათი სწავლების ლოგიკური თანმიმდევრობის სპეციფიკა. ზოგადი სასწავლო კურსების შემდეგ შეისწავლება ტექნოლოგიების სასწავლო კურსები და ამის შემდეგ ხორციელდება პრაქტიკა. თუმცა უნდა აღინიშნოს ზოგიერთი სასწავლო კურსის განლაგების არალოგიკურობა სტრუქტურაში. კერძოდ სასწავლო კურსი „მიკრობიოლოგია"პროგრამის სტრუქტურაში ასათვისებლად მითითებულია VII სემესტრში, მაშინ როდესაც ის უნდა ისწავლებოდეს უფრო ადრე, კერძო ტექნოლოგიების შესწავლამდე.ასევე მიკრობიოლოგია მითითებულია „ბიოტექნოლოგიის" ' დაშვების წინაპირობად, არადა გეგმაში ჯერ ისწავლება ბიოტქნოლოგია (VI) და შემდეგ მიკრობიოლოგია (VII).

დანარჩენ სასწავლო კურსებთან მიმართებაში თანამიმდევრობა ლოგიკურია.პროგრამის ყველა კომპონენტი და მათ შორის თანაფარდობა ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს განათლების მიღებას სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

*1.საგანმანათლებლო პროგრამა „სასურსათო ტექნოლოგია"*
*2.სასწავლო კურსების სილაბუსები*
*3.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების,*

*განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია"ოქმი N5 14.03. 2018წ.*
*4.ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან*
*5.ინტერვიუ სტუდენტებთან*

**რეკომენდაციები:**

სასწავლო კურსი „მიკრობიოლოგია"უნდა ისწავლებოდეს უფრო ადრე, ვიდრე სტუდენტი შეუდგებოდეს კონკრეტული კერძო ტექნოლოგიების და „ბიოტექნოლოგიის" შესწავლას.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ხილ-ბოსტნეულის დაკონსერვების ტექნოლოგიას სასურველია ჰქონდეს დაშვების წინაპირობა.

სასწავლო გეგმაში კურსების დაშვების წინაპირობებად მოცემულია კოდები,ალბათ უფრო პრაქტიკული იქნება აღსაქმელად,შესაბამის გრაფაში სასწავლო კურსის დასახელების ან გეგმაში მითითებული რიგითი ნომრის ჩაწერა.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

✓ ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აგებისას გათვალისწინბულია სასწავლო კურსების და მათი სწავლების ლოგიკური თანმიმდევრობის სპეციფიკა, ზოგადი სასწავლო კურსების შემდეგ შეისწავლება ტექნოლოგიების სასწავლო კურსები და შემდეგ ხორციელდება პრაქტიკა შესაბამის საწარმოებში. პროგრამის ყველა კომპონენტი, ასევე მათ შორის თანაფარდობა ემსახურება პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და უზრუნველყოფს საფუძვლიანი განათლების მიღებას პროგრამის სასწავლო კურსებში.

ყოველი სასწავლო კურსის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა შესაბამისიმოთხოვნები როგორც შინაარსობრივი, ისე მეთოდოლოგიური თვალსაზრისით.სწავლების მეთოდების, აქტივობების, შეფასების სხვადასხვა ფორმების,კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების მრავალმხრივობიდან ყოველისასწავლო კურსისთვის, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეირჩა შესაბამისი მეთოდი,ფორმა, კომპონენტი, რაც უზრუნველყოფსსათანადო შედეგების მიღწევას კონკრეტულ სასწავლო კურსში. ამავდროულად,ყოველი სასწავლო კურსის შერჩევისა და მისი შინაარსის დადგენისასგათვალისწინებულ იქნა სფეროს/დარგის თანამედროვე ტექნოლოგიები და მიღწევები, რაც ნათლად აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში.თუმცა ზოგიერთ სასწავლო კურსის შინაარსში სასურველია უფრო მეტად იყოს გამოყენებული მაგალითები სასურსათო ტექნოლოგიიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

*1.საგანმანათლებლო პროგრამა*
*2. სასწავლო კურსების სილაბუსები*
*3.სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუქა*
*4. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარებისა და გაუქმების ინსტრუქცია“ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი № 514.03. 2018წ.*
*5. ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან*

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

მართალია სასწავლო კურსი „აგრობიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი“ ასევე ისწვლება საბაკალავრო პროგრამა „აგრონოიაში', მაგრამ მოცემული პროგრამისთვის სასურველია პრაქტიკული მაგალითები მოყვანილი იყოს სასურსათო ტექნოლოგიიდანაც.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.**

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია სწავლის შედეგების შესასბამისად. სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა საწარმოებში და ორგანიზაციებში გადიან საწარმოო პრაქტიკას (5 კრედიტი), სადაც სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას, პრაქტიკის პერიოდში სტუდენტს უვითრდება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, გამოუმუშავდება საწარმოში მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ასევე, დასკვნის, კომუნიკაციის უნარი.

სტუდენტები რეგულარულად იღებენ მონაწილეობას სტუდენტ-ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციებში, ასევე საერთაშორისო კონფერენციებში და აღწევენ გარკვეულ წარმატებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

*1.თესაუ-ს სტუდენტ-ბაკალავრთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციები*

*2.მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან*
*3.თესაუ-ს მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები*
*4.ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან*
*5.ინტერვიუ პროგრამის ხელმძრვანელებთან*

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

 o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✔ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.5.სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების,აქტივობების, შეფასების სხვადასხვა ფორმების კომპონენტების, მეთოდების დაკრიტერიუმების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებულიშედეგების მიღწევას. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისმისაღწევად, სტუდენტთათვის სასურველი კომპეტენციების დასაუფლებლადსასწავლო კურსები მიმდინარეობს ლექცია/სემინარის, პრაქტიკული დალაბორატორიული მეცადინეობების ფორმატით, სადაც განსაკუთრებული ყურადღებაეთმობა ინტერაქტივს, ჩართულობას, სტუდენტთა აქტივობას. სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა არაა ეფექტური მხოლოდ ერთიმეთოდით. ლექტორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება,მათგან საჭიროს კონკრეტული მიზნიდან დაამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პროფესორი: ვერბალური თუ წერითი მეთოდები,წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი,სწავლების ინდივიდუალური თუ ჯგუფური მუშაობის მეთოდები და სხვ.

სტუდენტებს საჭიროებისამებრ უტარდებათ კონსულტაციები ლექტორთა მხრიდან. დიდი ყურადრებაადათმობილი საწარმოო პრქატიკას, სადაც სტუდენტები პრაქტიკულად ეუფლებიან იმ თანამედროვე ტექნოლოგიურ პროცესებს, რომელიც თეორიულად შეისწავლეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

*1.საგანმანათლებლო პროგრამა*

*2.სასწავლო კურსების სილაბუსები*

*3.ინტერვიუ აკადემიურ პერსონათან*

*4.ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სასურსათო ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის რელევანტურია, ობიექტურია და გამჭვირვალე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით N 3 05.01 2007 და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულებით.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 ქულა და მეტი;
2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70ქულა;
5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60ქულა;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსითდაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთმოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში თესაუ ნიშნავს დამატებით გამოცდას დასკვნითიგამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზემიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოოშეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0ქულა.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი ფორმებისგათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი შეფასება. ამფორმების ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. მათ შორის:

ა) შუალედური შეფასებები – არანაკლებ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – არაუმეტეს 40 ქულა.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმები,მეთოდები,კომპონენტები და კრიტერიუმები

განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსისმიხედვით, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. (საქართველოსგანათლებისადამეცნიერებისმინისტრისბრძანება №3-ის შესაბამისად (2007 წლის 5 იანვარი))

შუალედური შეფასება შედგება ცალკეული კომპონენტებისაგან: შუალედურიწერითი გამოცდა და ზეპირი/წერითი გამოკითხვა. სწავლის შედეგების მიღწევისშესაფასებლად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები:

დემონსტრირება, პრეზენტაცია. ტესტი, ქვიზი, ლაბორატორიული / პრაქტიკული /თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფშიმუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა.სასწავლო კურსის სილაბუსებში მიზნობრივად და ლოგიკურად არის გაწერილი შეფასების ყველა ფორმა, მეთოდი, კომპონენტი და კრიტერიუმი, რომლის შეფასებაც აუცილებელიასასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით. შუალედურ შეფასებას აქვს მინიმალური ზღვარი( შუალედური შეფასების არაუმეტეს60 %) დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად, დასკვით გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა და ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი გადალახავს გამოცდის ბარიერს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალური შეფასების 60 % -ს. შუალედური და დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი ინდივიდუალურია თითოეული სასწავლო კურსისათვის და გაწერილია შესაბამის სილაბუსში.

დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება.ყოველი სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, დადებითი შეფასებისშემთხვევაში სტუდენტს ენიჭება კრედიტი.

საწარმოოპრაქტიკაში სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დაუშვებელია სტუდენტის მიერ პრაქტიკაში მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება. შუალედური შეფასებების კომპონენტები განსაზღვრულია და ქულები გადანაწილებულია ლექტორის მიერ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით და ხორციელდება თესაუ-ში საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულების შესაბამისად. შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები დეტალურად გაწერილია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში.

საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დასაუფლებლად გამოყენებულია შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასება. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისკომპონენტებია: ზეპირი, წერითი ( ტესტი, ქვიზი,) გამოკითხვა, პრაქტიკული/ ლაბორატორიული სამუშაოს შესრულება/ დემონსტრირება, ინდივიდუალური/ ჯგუფური დავალების შესრულება და მისი პრეზენტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდა.

სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტებსა დაკრიტერიუმებს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. შეფასებისკომპონენტები მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში და მიმართულია იმავესილაბუსში მითითებული სწავლის შედეგების მიღწევადობაზე. მაგალითად:პრეზენტაციის კომპონენტის ფარგლებში ფასდება საკითხის ცოდნა, კრიტიკულიანალიზის უნარი, ინტერაქტიულობა და ვიზუალიზაციის ხერხების გამოყენებისუნარი; რეფერატის კომპონენტით მოწმდება მოძიებული და დამუშავებულიინფორმაციის ცოდნა და მისი გადმოცემის/ანალიზის უნარი; ტესტის კომპონენტითფასდება კონკრეტული საკითხების ცოდნა; გამოცდის კომპონენტით ფასდება საკითხისცოდნა, ინფორმაციის გაცნობიერებისა და გააზრების ხარისხი.

პროგრამებში გამოყენებულია შეფასების ის ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები, რაც თესაუ-ში არის დღემდე აპრობირებული. ის გარკვეულ რედაქტირებას ექვემდებარება შიდა რეგულაციების სრულყოფის პირობებში და ყოველი ახალი სასწავლო წლისათვის იდება თესაუ-ს ვებ-გვერდზე.

შიდა რეგულაციები ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს შესაძლებლობა აქვს თავიდანვე გაეცნოსსილაბუსების ბეჭდურ და/ან ელექტრონულ ვერსიებს, კურსის დაწყებისთანავეიცოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. კურსის მიმდინარეობის მანძილზე სტუდენტს საშუალება აქვს თვალი ადევნოს თავის მიმდინარე შეფასებებს, იქონიოსმუდმივი კონტაქტი ლექტორთან და დროული რეაგირება მოახდინოს მიღწეულშედეგებზე. ასევე, ლექტორებს საშუალებას აძლევს, უკუკავშირის გზით იყვნენაკადემიურად ადეკვატურნი, გააკეთონ კომენტარი სტუდენტის მომზადების

| |
|---|
| დონესთნდაკავშირებით, მოახდინონ ანალიზი საკუთარი საქმიანობისას სტუდენტთა უკიდურესად დაბალი, ან უკიდურესად მაღალი შეფასებისას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>*1.საგანმანათლებლო პროგრამა*<br>*2.სასწავლო კურსების სილაბუსები*<br>*3.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი ,,სასწავლოპროცესის მარეგულირებელი წესი“ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი № 514. 03. 2018*<br>4.ელექტრონული პორტალი<br>5.ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან.<br>6.საგამოცდო ცენტრის დებულება |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათისრჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობისშემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედიაკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>✓ ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლებისმეთო დოლოგიადაორ | ✓ | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| განიზება, პროგრამისათვი სებისშეფასების ადეკვატურობა | | | | |

## 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1.სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე,აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
